**დანართი N2**

## *წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა*

### *I ეტაპი*

*განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2024 წლის 30 აგვისტო*

- *განაცხადი;*
- *უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;*
- *ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);*
- *ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის შესახებ;*
- *საბანკო რეკვიზიტები;*
- *სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.*

### *II ეტაპი*

*დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადა 2025 წლის 1 მარტი*

- *ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან, შესაბამისი კალენდარული წლების (2023 და 2024 წწ) განმავლობაში ექსპორტირებული ღვინის (ლიტრი) მოცულობის შესახებ;*
- *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული არაუმეტეს მეოთხე კატეგორიის პირის მიერ, ხოლო ბენეფიციარი - მცირე ზომის მარნის შემთხვევაში არაუმეტეს მეხუთე კატეგორიის პირის მიერ გაცემული ანგარიში შესაბამის საანგარიშო პერიოდებში (01.10.2022 – 30.09.2023 წწ. და 01.10.2023-30.09.2024 წწ.) გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობების შესახებ, რომელიც მომზადებულია სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;*

.

- *მცირე ზომის მარნის შემთხვევაში პროგრამის 5[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მისაღებად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.*

*შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება არა უგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯი და ექსპორტირებული ღვინის მოცულობა.*